ქალაქ თბილისის მთავრობის
დადგენილება №19.01.709
2012 წლის 30 ივლისი ქ. თბილისი

ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მგზავრობის ტარიფისა და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და 25-ე მუხლის, ,,საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 23^1 მუხლის „ა“ და „ფ“ პუნქტებისა და 28-ე მუხლის, „რეგულირებადი ეკონომიკური სფეროებისა და ტარიფების განსაზღვრის შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2012 წლის 27 ივლისის №8-30 გადაწყვეტილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-3 მუხლის შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M_3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მგზავრობის ტარიფი 0,5 ლარის ოდენობით.

მუხლი 2. დამტკიცდეს მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M_3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მრავალჯერადი გამოყენების სამგზავრო ბარათების მომხმარებელთათვის ფასდაკლების შემდეგი სისტემა:

ა) სამგზავრო ბარათის მფლობელი მგზავრობის საფასურის სამგზავრო ბარათით 0,5 ლარის გადახდის შემდეგ, აგრეთვე „რეგულირებადი ეკონომიკური სფეროებისა და ტარიფების განსაზღვრის შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2012 წლის 27 ივლისის №8-30 გადაწყვეტილების მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე მოქალაქე მის მიერ კუთვნილი სამგზავრო პლასტიკური ბარათით მგზავრობის საფასურის გადახდის შემდეგ, უფლებამოსილნი არიან მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ან/და M_3 კატეგორიის ავტობუსით იმგზავრონ 90 წუთის განმავლობაში. *(13.09.2012 N 23.01.889)*

ბ) იურიდიული პირებისათვის („კორპორატიული კლიენტი”), რომლებიც თანამშრომლებისთვის შეიძენენ მინიმუმ 1000 (ათასი) ცალ მრავალჯერადი გამოყენების სამგზავრო ბარათს და კალენდარული თვის განმავლობაში მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და/ან M_3 კატეგორიის ავტობუსებით ჯამურად განახორციელებენ 30000 (ოცდაათიათასი) ან მეტ მგზავრობას, თითოეული მგზავრობის

ღირებულება განისაზღვროს 0,2 ლარის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 6000 (ექვსი ათასი) ლარისა თვეში, გადაყვანილ პირთა რაოდენობის მიუხედავად;

გ) ამ მუხლის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული იურიდიული პირების მიერ ანგარიშსწორება განხორციელდეს კალენდარული თვის დამთავრებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა;

დ) იურიდიული პირებისათვის („კორპორატიული კლიენტი"), რომლებიც თანამშრომლებისთვის კალენდარული თვის განმავლობაში მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და/ან M_3 კატეგორიის ავტობუსებით მგზავრობისთვის განკუთვნილ მრავალჯერადი გამოყენების სამგზავრო ბარათებზე დარიცხავენ ქვემოთ ჩამოთვლილი რაოდენობის მგზავრობის საფასურს (რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მხოლოდ დარიცხვისას მითითებული თვის განმავლობაში და გახარჯულად ჩაითვლება დარიცხვისას მითითებული კალენდარული თვის ამოწურვისთანავე, მიუხედავად იმისა, გაიხარჯა თუ არა დარიცხული თანხა), დაუწესდეთ შემდეგი სახის შეღავათები:

დ.ა) 6000-დან 9000-მდე მგზავრობის საფასურის შემთხვევაში თითოეული მგზავრობის ღირებულება განისაზღვროს 0,35 ლარის ოდენობით;

დ.ბ) 9000-დან 15000-მდე მგზავრობის საფასურის შემთხვევაში, თითოეული მგზავრობის ღირებულება განისაზღვროს 0,3 ლარის ოდენობით;

დ.გ) 15000-დან 30000-მდე მგზავრობის საფასურის შემთხვევაში, თითოეული მგზავრობის ღირებულება განისაზღვროს 0,25 ლარის ოდენობით.

მუხლი 3. მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M_3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელმა იურიდიულმა პირმა უზრუნველყოს წინამდებარე დადგენილების პირველი და მეორე მუხლებით დამტკიცებული მგზავრობის ტარიფით და ფასდაკლების სისტემით მომსახურების განხორციელება.

მუხლი 4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M_3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, მგზავრობის ტარიფისა და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 2 დეკემბრის №32.03.1498 დადგენილება.

მუხლი 5. დადგენილება ამოქმედდეს 2012 წლის 1 აგვისტოდან.

ქ. თბილისის მერის პირველი
მოადგილე (ვიცე-მერი) *დ. ნინიძე*